კვება სასკოლო საათებში

სასკოლო საათებში კვება მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ვინაიდან სასკოლო საათების განმავლობაში ყოველდღიურად იკვებება ბავშვების ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%), ხოლო არასდროს არ იკვებება ბავშვების 35%. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში არჭამის შემთხვევები მნიშვნელოვნად უფრო ხშირია (45%).

სასკოლო საათების განმავლობაში კვების სიხშირეები



მიზეზები, თუ რატომ არ იკვებებიან ბავშვები სასკოლო საათების განმავლობაში, განსხვავებულია ქალაქი/სოფლის და მატერიალური დანაკლისის არსებობის მიხედვით. სოფლად ს ყველაზე მთავარი მიზეზი არის სკოლაში ან ახლომდებარე ტერიტორიაზე საკვების შეძენის შეუძლებლობა (48%). 16% აღინიშნა საკმარისი თანხის უქონლობა.

მიზეზები, თუ რატომ ვერ იკვებება ბავშვი სასკოლო საათების განმავლობაში



კითხვაზე, უნდა უზრუნველყოფდეს თუ არა სკოლაბავშვს საკვებით, სასკოლო ასაკის ბავშვების შობლების/ოჯახის წევრების დიდი უმრავლესობა დადებითად პასუხობს (83.2%)



რესპონდენტების (74.2%), მათ შორის მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების მშობლების, უმრავლესობა მზად არის, გადაიხადოს თანხა სასკოლო კვების პროგრამებში, თუკი ეს თანხა მათთვის ხელმისაწვდომი იქნება.